

თამასუქი - არის ჩერის საინვესტიციო პროდუქტი, წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, მოკლევადიან სასესხო ვალდებულებას, რომელიც შექმნილია სპეციალურად მათთვის ვისაც სურს ფულის მოკლევადიანი დაბანდება

თამასუქით მოზიდულ თანხას კომპანია ჩერი იყენებს თავის საოპერაციო საქმიანობაში, საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად (ნედლეულის შეძენა და სხვა..)

თამასუქი შედგება/გაფორმდება და გაიცემა [თამასუქის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად](#)

ჩერის თამასუქი წარმოადგენს არაგადასაპირებელ, მარტივ (სოლო) თამასუქს რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას მესამე პირებზე ინდოსამენტის და ან ცესიის საშუალებით

თამასუქის შესაძენად საჭიროა ჩერის ვებ გვერდზე www.cherie.ge განაცხადის შევსება და გადაგზავნა, ამავე განაცხადით განისაზღვრება თამასუქის ვადა და თანხა

შევსებული და გადაგზავნილი განაცხადის საფუძველზე დაგენერირებული ინვოისი ძალაშია 3 სამუშაო დღის განმავლობაში თანხის გადასახდელად

ინვოისის საფუძველზე თანხის ჩარიცხვის დღიდან დაიწყება თამასუქის ვადის ათვლა

თამასუქის დედანი გაეგზავნება განმცხადებელს ინვოისის საფუძველზე თანხის ჩარიცხვიდან მეორე დღესვე კურიერის საშუალებით ფაქტობრივ მისამართზე

თამასუქის გამცემს წარმოადგენს შპს ჩერი (საიდენტიფიკაციო კოდი 400043181) და თავად კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს თამასუქის თანხა და მასზედ დარიცხული პროცენტი მხოლოდ თამასუქში აღნიშნულ პირს, თამასუქში დათქმულ დღეს

ჩერის თამასუქი არის 6-დან 10 თვემდე ვადის, არაუზრუნველყოფილი სესხი რომელსაც ღებულობს კომპანია ჩერი და იღებს ვალდებულებას დააბრუნოს შეთანხმებულ ვადაში

თამასუქის თანხას დაერიცხება წლიური 12%, სარგებლის ყოველთვიური გადახდით, (თვეში - 1%) გადახდა განხორციელდება კალენდარული თვის ბოლო დღეს

როგორც თამასუქის თანხის ისე ყოველთვიური პროცენტის ჩარიცხვა მოხდება განაცხადში მითითებულ ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც ასევე იქნება ჩაწერილი თამასუქში

თუ თამასუქის მფლობელი არარეგისტრირებული ფიზიკური პირია, გადახდილ საპროცენტო სარგებელზე შესაბამის საშემოსავლო გადასახადს დაადეკლარირებს და გადაიხდის თამასუქის გამცემი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

თამასუქის თანხის დაბრუნების დღეს, გაცემის დღესთან შედარებით თუ ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 3%-ზე მეტად იქნება გაუფასურებული თამასუქის მფლობელს ასევე აუნაზღაურდება კურსთაშორის სხვაობა (ანაზღაურდება სებ კურსით, მხოლოდ 3%-ზე მეტი სხვაობის თანხა)

თამასუქის მფლობელი თამასუქის ვადის ამოწურვამდე ისარგებლებს 10%-იანი ფასდაკლებით ონლაინ მაღაზიით გაკეთებულ შესყიდვებზე www.shop.cherie.ge ამისათვის საჭირო იქნება თამასუქის ნომრის ჩაწერა ონლაინ შეკვეთის გაფორმებისას